პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 199 (11810)

შაბათი, 27 აგვისტო, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა

აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფერენციისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალმება გაუგზავნა აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც ქალაქ ლეოპოლდვილში შეიკრიბნენ.

აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მაღალი კონფერენციის მოწვევა ამჟამად, როცა აფრიკაში ხორციელდება ფაქტიურად კოლექტიური იმპერიალისტური აგრესია, ნათქვამია მისასალმებელ დეპეშაში, ცხადყოფს იმ ახალ ეტაპს, რომელზეც ვლინდება სოლიდარობა და ერთიანი მოქმედება აფრიკის ყველა დამოუკიდებელი ხალხისა, რომლებიც კოლონიზატორთა ღონისძიებებს უპირისპირებენ თავიანთ გაერთიანებულ ღონისძიებებს საერთო ბრძოლაში იმისათვის, რომ აფრიკის კონტინენტიდან განდევნონ კოლონიალიზმი, რომელიც ასეული წლების მანძილზე ულმობლად უწევდა ექსპლოატაციას და ძარცვავდა მათ.

საბჭოთა მთავრობა, აღნიშნულია დეპეშაში, გულწრფელად იცავს რა თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, გულწრფელად უჭერს მხარს აფრიკის ხალხთა [illegible] [illegible] [illegible]

შენს პირს მაქარი!

ბICეძრის მოტოციკლი... უკან კი მცხუნვარე მზისაგან ალმოდებული მიწა ჰაერში მტვრის კორიანტელის ვეება ზოლად რჩება...

მწვანე ფერდობზე მოფუსფუსე მწყემსებმა შორიდანვე შენიშნეს სასურველი „სტუმარი“ და როცა მოტორმა „ენამთ“ მძლავრი გუგუნით ჯერ გააყრუა, ხოლო შემდეგ დაკლული ხარივით დაიხრიალა და გაჩუმება ამჯობინა, ფერმაში მომუშავენი მოსულს გარს შემოეხვივნენ და კითხვები ტყვიამფრქვევივით დააყარეს:

— ბიჭკო, გვითხარ, შენი ჭირიმე, გამამარჯვებთ თუ არა?

— რა ითქვა ჩვენს ბრიგადაზე?

ერთმა ახოვანმა ყმაწვილმა კი, რომელსაც ამხანაგებმა „ფერმის ხუმარა“ შეარქვეს, ახლაც თავისი არ დაიშალა:

— შენზე რა თქვეს, ფერმის გამგე როგორი ბიჭია?

მზისგან გარუჯულ ახალგაზრდას ამ უკანასკნელ კითხვაზე ჩაეცინა, ერთხელ კიდევ გადახედა უკვე სმენად გადაქცეულ მეგობრებს და დაწვრილებით უამბო მათ წითელწყაროს რაიონის მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, რომლის შესახებ პარტიის რაიონულ კომიტეტში გამართულ თათბირზე იყო ლაპარაკი.

— გამარჯვებაზე ხმაური ადრეა. წინ მუშაობის ცხარე დღეებია... ზემომაჩაანელმა მეძროხეებმა ერთხმად გადაწყვიტეს ჯაფარიძელებს უნდა ვაჯობოთო. მათ ჩვენზე ცუდად როდი აქვთ საქმე!..

— ისინი შარშანაც „გვემუჭრებოდნენ“... — წამოიძახა ერთმა.

„გვემუჭრებოდნენ“ და არც ჩამოგვრჩნენ. წელს კი გაცილებით დიდი ვალდებულება იკისრეს...

— არც ჩვენი ვალდებულებაა ხელწამოსაკრავი. თუ შარშან სახელმწიფოს 2.046 ცენტნერი ხორცი და 4.507 ცენტნერი რძე ჩავაბარეთ, წელს ხომ ერთიორად მეტის ჩაბარება გადავწყვიტეთ — თითქოს ნაწყენი კილოთი მუგო მწველავმა ანტონ ცოფურიშვილმა.

— ვალდებულება ჩვენც დიდი ვიკისრეთ, — განაგრძო საუბარი ფერმის გამგემ, — მაგრამ დღემდე მეტის გაკეთება შეგვეძლო. გადავწყვიტეთ 900 ტონა რძე ჩაგვებარებინა, დღემდე კი 700 ტონასაც ვერ მივაღწიეთ... თუმცა ეს საყვედური ყველაზე არ ითქმის. თათბირზე ქებით მოიხსენიეს ფარნაოზ ტოკლიკიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც გასულ წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ უასანინ საჩუქარი მიიღო და წელსაც კარგი მაჩვენებლები აქვს. შეაქეს მწველავები ანტონ ცოფურიშვილი, მარიამ ჩიტაური, ბრიგადირი ილია ქადაგიძე და ბევრი ჩვენი კარგი მეძროხე...

ფერმის გამგემ ბ. ბენაშვილმა თავის თავზე კი არაფერი თქვა, თუმცა თათბირზე რაიონის ხელმძღვანელებმა ისიც შეაქეს, მაგრამ რას იზამ, ასეთი კაცი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, ასეთები ხომ ახლა ჩვენთან ძალიან ბევრნი არიან! ისინი სიამოვნებით ლაპარაკობენ თანამოსაქმეების მიღწევებზე, ხოლო საკუთარ დამსახურებაზე ხმას ვერ ამოაღებინებ.

ჯაფარიძელ მეძროხეებს დიდხანს, შუადამემდე არ შეუწყვეტიათ ქამათი.

აДАМIANINIს ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როცა კაცს პირველად გაიცნობ, მაგრამ მისი საქმიანი მოძრაობა, მასთან საუბარი გაფიქრებინებს, სხვაგან ხომ არსად შემხვედრიაო. სიმართლე გითხრათ, მეც ასე დამემართა. თუმცა აქ გასაკვირელიც არაფერია. ბ. ბენაშვილი ხომ ძალიან ბევს იმ მოწინავე ადამიანებს, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო, ნათესაური — ვაჟაკაცური ხალისი და ენერგია, თავმდაბლობა, საქმის უზომო სიყვარული.

ამ ადამიანების შრომა და ცხოვრება საუკეთესო მაგალითია სხვებისათვის. სწორედ ეს გაითვალისწინა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და ახალგაზრდა კომუნისტ ბ. ბენაშვილს სამი წლის წინათ მეძროხეობის ფერმის № 1 ბრიგადაში აგიტატორობა მიანდო.

— ეს მოვალეობა ჩემთვის ყველაზე საპატიოა, — ხშირად განუცხადებია მას.

როცა ბენაშვილმა პირველი საუბრები გამართა, თავიხი თავის უკმაყოფილო იყო.

— ჩემგან კარგი აგიტატორი არ დადგება, — ჩუმად ჩაილაპარაკა.

შემდეგი საუბარიც გაუბედავად დაიწყო. ხმა თითქმის უკანკალებდა. ერთმა შუახნის მწველავმა კი მეორეს დაბალი ხმით გადაულაპარაკა:

— რა სარეცხის თოკივით გაბა, მოკლედ ვერ იტყვის?

ახალგაზრდა აგიტატორი აილეწა. მან ახლოდან უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრა ყური. საუბარი ახლა კი მართლა „მოკლედ მოჭრა“ და გადაწყვიტა, მეორე დღესვე რაიკომში წასულიყო და ეთხოვნა — აგიტატორობიდან გამათავისუფლეთო.

იმ ღამეს ბენაშვილს დიდხანს არ ჩაეძინა. იგი სულ იმას ფიქრობდა, ხვალ როგორ მოქცეულიყო. მივიდეს ასეთი სამარცხვინო თხოვნით რაიკომში?

არა, ალარ მივა!.. ან რას იტყვიან ამხანაგები. — ფერმის გამგის მოვალეობას თუ კი ვასრულებ, ეს აგიტატორობა რა გახდა ასე დაუძლეველი?! აი, ზეგ აგიტკოლექტივის სხდომაა და მოვითხოვ მარტო ის კი არ თქვან, თუ რაზე ჩავატარო საუბრები, ისიც მითხრან, როგორ უნდა ჩავატარო...

ასეც მოიქცა. აგიტკოლექტივის სხდომაზე ბევრი რამ ითქვა აგიტატორის ხელოვნებაზე, ცოცხლად და მიმზიდველად საუბრის ჩატარებაზე, აგიტაციის ქმედითობაზე.

თუ რა წვლილი აქვს შეტანილი ბ. ბენაშვილს ფერმის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ამას ნათლად ვხედავთ პირველი ბრიგადის მაგალითზე, სადაც იგი აგიტატორად მუშაობს. იგი კარგად ახამებს ფერმის გამგეობას საზოგადოებრივ დავალებასთან — აგიტატორობასთან და ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმის ინიციატორი გახდა. მან მთელი თავისი სააგიტაციო მუშაობა უნარიანად დაუკავშირა მეძროხეობის ბრიგადის წინაშე მდგომ ამოცანებს — აწარმოონ მეტი რძე, მეტი ხორცი, შექმნან მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

იყო აგიტატორი — საპატიო და საამაყო

როცა აგიტატორი რიაზანის ოლქის მეცხოველეთა მუშაობას გაეცნო, მთელი კვირის განმავლობაში ემზადებოდა საეციალური საუბრისათვის — „როგორ გავაიაფოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება“.

საუბარი თავიდანვე ცოცხლად წარიმართა. ახლა მარტო აგიტატორი კი არ ლაპარაკობდა, როგორც ეს მისი პირველი თვეების მუშაობის პრაქტიკაში იყო. ბრიგადის წევრები ბევრ საინტერესო საკითხს თვითონ აყენებდნენ. ამ დღეს სააგიტაციო საუბარი მეტად გაგრძელდა, მაგრამ არავის დაუჩივლია, „ნეტავი მოკლედ მოჭრასო“. საუბარში თითქმის ყველა მონაწილეობდა. ისინი საქმიანად ეძებდნენ გზებს, თუ რიაზანელთა მაგალითისამებრ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო, რა გამოუყენებელი რეზერვები არსებობდა ფერმაში.

აგიტატორმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კოლმეურნეობას ერთი ლიტრი რძის წარმოება 98 კაპიკი უჯდებოდა. რა იყო ამის მიზეზი?

— მწვანე მასას 20-30 კილომეტრის მანძილიდან ვეზიდებით, რადგან ფერმისპირა ნაკვეთები ცოტა გვაქვს, ტრანსპორტის ხარჯები კი დიდია. ჩვენს კოლმეურნეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა თესლბრუნვას, რაც საშუალებას არ გვაძლევს ძროხები საძოვარზე ბანაკად გავიყვანოთ. იძულებული ვართ ძროხას დღეში 4-5 კილოგრამი კონცენტრირებული საკვები ვაძლიოთ, ეს კი მწვანე მასასთან შედარებით ძვირია...

ეს საკითხი ფერმის გამგე-აგიტატორმა კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენა. გადაწყდა, რომ ჯაფარიძელთა მიწათმოქმედებაში უმაცრესად ყოფილიყო დაცული თესლბრუნვა.

ვისაც წელს ხარხის საბჭოთა მეურნეობის ახლო გაუვლია, დაინახავდა შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით მწვანედ მოხასხასე ფერმისპირა საძოვრებს. აქ ჯერ კიდევ თებერვლიდან ძროხებს არ მოჰკლებიათ „მწვანე ხაზრდა“. ჯერ იყო და მაისის შუა რიცხვებამდე ქერს ძოვდნენ, შემდეგ ესპარეტეხა და ითნჯას, ამჟამად კი ბაგაზე სიმინდის მწვანე მასას შეეჭცივიან.

— კონცენტრატებზე კი რა მოგახსენოთ, — თქვა „ფერმის ხუმარამ“, — ვინც როგორ მუშაობს, ისე ჭამს; თუ ძროხა 10 ლიტრ რძეს იწველის, 3 კილოგრამ კონცენტრატს ვაძლევთ, და თუ 3 ლიტრზე მეტი არ მოიწველა, მისთვის ერთი კილოგრამიც არამია.

— მერე სადღა გვყავს სამლიტრიანი ძროხა? — ძლივს შეიკავა სიცილი ბრიგადირმა ილია ქადაგიძემ.

მართლაც ჯაფარიძელებს, როგორც ფერმაში ამბობენ, აღარ მყავთ „სამლიტრიანი“ ძროხა...

წITOEL კუთხეში მოწყობილ მოწინავეთა დაფას ყოველთვიურად ემატება მწველავთა გვარები, რომელთაც წელს უკვე შვიდ თვეში თვითეულ ძროხაზე 2.500-3.000 ლიტრი რძე მიიღეს.

ბრიგადის წევრთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების სათავეში აგიტატორი ბ. ბენაშვილია, რომელიც მოხერხებულად იყენებს ამ საქმისათვის საველე ფურცლებს, სააგიტაციო საუბრებს, მოწინავეთა დაფას...

თუ რომელიმე მწველავი ან მომველელი ჩამორჩა, აგიტატორი ჯერ მისი ჩამორჩენის მიზეზებს სწავლობს, ხოლო შემდეგ ყოველნაირად ეხმარება მუშაობაში.

— თუ კი რაიმე საკითხის მოგვარება ჩემს ძალღონეს აღემატება, მაშინ დახმარებისათვის კოლმეურნეობის გამგეობას და პარტიულ ორგანიზაციას მივმართავ, — აცხადებს იგი.

შარშან მწველავ ვ. ნაზღაიძეს მუშაობაზე გული აუცრუვდა და ფერმიდან წასვლა გადაწყვიტა. მართლაც უჭირდა. საკუთარი ბინა არ ჰქონდა და სიძესთან ცხოვრობდა.

საქმეში აგიტატორი ჩაერია... მან ხაკითხი აღძრა კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე, რომ ნაზღაიძესათვის სესხი მიეცათ საცხოვრებელი ბინის ასაშენებლად.

აგიტატორის ჩარევამ შედეგიც გამოიღო. მწველავი ნაზღაიძე უკვე იწყებს ახალი სახლის მშენებლობას.

ბ. ბენაშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მწველავი სულიკო ოქუაშვილი ძროხების წველადობაში ძალიან ჩამორჩა ამხანაგებს. ბევრი იღონა აგიტატორმა, სანამ საქმეს გამოასწორებდა. ზშირად ოქუაშვილს ცალკე ესაუბრებოდა. საქმეში ფერმის მოწინავე მწველავებიც ჩარია. ჩამორჩენილი მწველავი მოკლე ხანში მოწინავეთა რიგებში ჩადგა. როგორც საველე ფურცელი გვატყობინებს, მან ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ძროხაზე 3.000 ლიტრი რძე მიიღოს.

ДАЛIAN ფარფოა აგიტატორის მოღვაწეობის ასპარეზი... აგიტატორი, როგორც პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანაშემწე, ყოველდღიურად ტრიალებს ადამიანთა შორის, ეხმარება მათ, ზრუნავს მათი აღზრდისათვის.

ІVЗLIსში აგიტატორთა რესპუბლიკურ თათბირზე ბენაშვილიც იყო... აქ იგი ხიტყვით გამოვიდა, მაგრამ როცა სხვა ამხანაგების გამოსვლას მოუსმინა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რამდენი რამ მქონია გასაკეთებელი!

წითელწყაროში დაბრუნებისთანავე ბევრ აგიტატორს გაუზიარა თათბირზე მიღებული შთაბეჭდილებანი:

— მომეწონა ლენინგორის რაიონის დარგვისის საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. სომხიევას გამოსვლა. მან ბევრი საინტერესო ფაქტი დაასახელა თავისი აგიტკოლექტივის მუშაობიდან. მისახალმებელია, რომ დარგვისელი აგიტატორების კარგად მოფიქრებული საუბრების შემდეგ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა სამუშაოდ წავიდა მეცხოველეობის ფერმებში.

თათბირზე კიდევ ბევრი სხვა კარგი რამ ითქვა...

აგიტატორთა რესპუბლიკური თათბირის შემდეგ თვენახევარზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბ. ბენაშვილმა ბევრი ახალი რამ გადმოიტანა რესპუბლიკის სხვა აგიტატორთა მუშაობიდან.

აი მეკამეჩოობის ფერმას კარგი მომველელი დასჭირდა, მუშაობა მეტად რთული იყო და ზოგიერთი უარს აცხადებდა იქ წასვლაზე. აგიტატორმა საუბარი იმდენად გულწრფელად და დამაჯერებლად ჩაატარა, რომ მეორე დღესვე კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი რამან ქოქაშვილი მეკამეჩოობის ფერმაში სამუშაოდ წავიდა.

მიხეილ გიგაური ერთთვეზედ სულ იმას გაიძახოდა, 120 სული ძროხის მოვლა ერთი კაცისათვის შეუძლებელი საქმეაო.

— ირგვლივ ნათესებია, ყოველდღე წანახელი იქნება, — ჯავრობდა მიხეილი.

აგიტატორმა ბ. ბენაშვილმა ბრიგადის წევრები შეკრიბა, მაგრამ საუბარი არ გაუმართავს. სიტყვა აიღო სიკო ცოფურიშვილმა, რომელიც სანიმუშოდ უვლის 134 სულ ძროხას და ისიც საკოლმეურნეო ნათესების ახლოს.

მიხეილ გიგაურს ახლა კი შერცხვა...

— ხვალიდანვე 120 სული ძროხა ჩამაბარეთ, — თქვა და ასეც მოხდა.

— საადგილო მუშაობის ასეთი მეთოდი მეტად სასარგებლო აღმოჩნდა, — ამბობს აგიტატორი, — თათბირის შემდეგ ეს მეორედ გამოვცადე და ამ ორი კვირის წინათ საუბარში მოწინავე მწველავი ანტონ ცოფურიშვილი გამოვიყენე, რომელმაც თავისი მუშაობის მოწინავე ხერხები სხვა მწველავებს გაუზიარა.

* * *

ბАНСАКУТОРЕБИТ მაშინ, როცა ფერმაში მეორე წველას ამთავრებენ, მეძროხეთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი წითელი კუთხეა. აგიტატორი ბ. ბენაშვილი მუდამ მათთან არის. და როცა ახალ სასიხარულო ამბებს გადასცემს ხოლმე, ფერმაში ერთხმად შესძახებენ:

— შენს პირს შაქარი!

ალ. ზურაშვილი.

* * *

სურათზე: აგიტატორი ბ. ბენაშვილი.

ქარხნის „ტვინი“

რУСТАВИ. (საკ. კორ.). ქარხნის „ტვინი“ — ასე უწოდებენ მეტალურგები საქარხნო ლაბორატორიას.

აქ ნამდვილად შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. კეთდება ათასგვარი სინჯები, ხდება დაკვირვებები, წარმოებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემოწმება.

საქარხნო ლაბორატორია (უფროსი ზ. ჩხეიძე) მხარში უდგას ქარხნის კოლექტივს და აქტიურ დახმარებას უწევს წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლაბორატორიის მუშაობაში ზრუნვა ფოლადის ხარისხის ამაღლებისა და ტექნიკური რეჟიმის დაცვისათვის. აქ ახლა აქტიურად მუშაობენ ფოლადის განქანგვისათვის საჭირო კალციუმ-მარგანეცის და კალციუმის კომპლექსზე. ამჟამად ეს სამუშაოები დოკუმენტაციის დამუშავების სტადიაშია. წინასწარი მონაცემები მეტად კარგ მაჩვენებლებს იძლევა. ამ სიახლის დანერგვის შემდეგ არა მარტო გაუმჯობესდება ლითონის ხარისხი, არამედ შემცირდება მისი თვითღირებულებაც და შემსუბუქდება მეტალურგის შრომა. ამ სამუშაოთა უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. არსენიშვილი და ქარხნის დირექტორი ინჟინერი ს. შარაძენიძე.

ლაბორატორიის მუშაკები აქტიურად მუშაობენ აგრეთვე ბრძმედის მტკივნეული საკითხების გადაჭრაზეც. როგორც ცნობილია, ბრძმედის ღუმელები გადაყვანილ იქნა ბუნებრივი გაზით მუშაობაზე. პირველი დღეებიდანვე ლაბორატორიის მუშაკები დაინტერესდნენ გაერკვიათ საკითხი, თუ რა გავლენას მოახდენს ბუნებრივი გაზი ბრძმედის პროცესზე. მათ დაადგინეს, რომ ბუნებრივი გაზით მუშაობას დიდი უპირატესობა აქვს. კერძოდ, მნიშვნელოვნად მცირდება ლაქსის ხარჯი, ჩერდება მადნის „ატვირთვა“ და ყოველივე ამის შედეგად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. უმჯობესდება ხარისხი.

ლაბორატორიის მუშაკები ქარხნის კოლექტივთან ერთად [illegible] ბრძმედის [illegible] ინერტული აქვთ დამყარებული საამქროების მომუშავე რაციონალიზატორებთან, წარმოების ნოვატორებთან, ინჟინერ-ტექნიკოსებთან. მაგალითად, საქარხნო ლაბორატორიამ თასონურ-სამსხმელო და მარტენის საამქროების კოლექტივებთან მჭიდრო კავშირში წარმატებით გადაწყვიტა ბოყვების მდგრადობის გაუმჯობესების მეტად რთული საკითხი.

ასე ეხმარება ქარხნის კოლექტივს საკუთარი ლაბორატორია.



ARA, KACI ASE VER DAISVENEBS

ბЕВРИ DAMSVENEBELIA წელს ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე. ნაყოფიერი შრომის შემდეგ მშრომელები სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში მკურნალობენ, იკაჟებენ ჯანმრთელობას, ისვენებენ.

რედაქციაში შემოდის წერილები, რომელთა ავტორები მადლობის გრძნობით იხსენიებენ კურორტების მომსახურე პერსონალს, მაგრამ იშერებიან კურორტების ნაკლოვან მხარეებზეც, დამსვენებლებისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე.

ვბეჭდავთ მასალების ნაწილს, რომლებშიც მშრომელები უმაყოფილებას გამოთქვამენ კურორტების კეთილმოუწყობლობის, მომსახურე პერსონალის არაწესიერი მუშაობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბOKIANI (ვანის რაიონი) ძველთაგანვე ცნობილია სამკურნალო გოგირდოვან-მინერალური წყლებით. აქ დიდი დებიტით ამოდის გოგირდოვანი (საბაბანანი) და ცივი მინერალური სასმელი წყლები, რომლებსაც დამსვენებლები იცნობენ როგორც ნერვიული სისტემის დაავადებისა და რევმატიზმის განკურნვის საუკეთესო საშუალებას. სასმელი მინერალური წყლები გულისმბერი და დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

მინდა შევეხო კურორტზე ამჟამად შექმნილ მდგომარეობას. კურორტზე ერთი ორსართულიანი 12-თახიანი სახლია, რომელსაც სახურავი და კარ-ფანჯრები ჩამტვრეული აქვს. სახლი ისეთ საავალო მდგომარეობაშია, რომ სადაც არის დაინგრევა.

მოუგვარებელია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. კურორტის ტერიტორიაზე თავისუფლად დადის პირუტყვი, რომელიც იქაურობას აბინძურებს. კურორტს არა აქვს სასურსათო მაღაზია და სასადილო. ასეთი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ რაიონის ხელმძღვანელობა სრულიად არ აქცევს ყურადღებას ბოკიანს.

გ. ხУРЦIZE.

MIVXEDOT KURORTS SAIRMES

გADAВ**Г**ЗVITE შვებულების დროს მემ კურნალა კურორტ საირმეში, რომლის მინერალური წყლების სასარგებლო თვისებები საქართველოს ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი. ჩემთან ერთად იყვნენ მოხუცი მამა და დ. ძველი ანდაზა, — „საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი დაბრუნდაო“, სწორედ ჩემზე ასრულდა. ავადმყოფობას დაემატა კურორტზე გამეფებული უწესრიგობით გამოწვეული ნერვიულობა და, რა თქმა უნდა, მკურნალობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

კურორტის დირექტორს ამბ. თავხელიძეს ვთხოვე ჩვენთვის ბინა მოეცა სასტუმროში, მან მიპასუხა, თუ „კურსოვკას“ არ შეიძენთ, ისე ბინით ვერ დაგაკმაყოფილებთო. ყველაფერს ამას სპირდებოდა 1.278 მანეთი, ჩვენ კი არ შეგვეძლო ამდენი თანხის გადახდა, თხოვნა განვუმეორეთ, მაგრამ დირექტორმა ისეთი ვაჭრობა დაიწყო, თითქოს მამისეულ სამკვიდროში ყოფილიყო და არა სახელმწიფო დაწესებულებაში. სასტუმროში კი ბევრი იყო „უკურსოვკო“ დამსვენებელი, ჩანს, მათ აღმოაჩინდათ უფროსის მადის დასაკმაყოფილი თანხა. სხვა გზა არ მქონდა და გადავწყვიტე ბინა კერძოდ დამექირავებინა. „ეგ შეგიძლია, მაგრამ მე წყალს არ მოგცემთ“, მიპასუხა განწყენებულმა დირექტორმა. ეს მაზე იყო, რომლითაც ხელში უნდა ჩავვარდნოდი უპატიოსნო ადამიანს. დირექტორი უდიერად ეპყრობა საგზურებიან დამსვენებლებსაც, არ აძლევს ბინას, ვინაიდან ბინები დაკავებული აქვთ „ფულიან“ ავადმყოფებს.

ამას უნდა დავუმატო ისიც, რომ დირექტორი მთელ დღეებს აზარტულ თამაშში ატარებს, საირმე თავისიანების თვმოყრის ადგილად გადაუქცევია. თავხელიძეები, რომლებიც აქ მუშაობენ, ამჟამინდელ სახელდახელო კარვებს, რომლებსაც გვარინან მაღალ ფასებში აქირავებენ და ჯიბეს ისქელებენ.

ვინ ჩაგდო კურორტი მის ხელში?

შ. ზARNAZIZE.

ტყიბულ-ჭვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს სამჭედლო საამქროს უფროსი.

ROMELI ERTI ARVNIMENOT?

მRAVALSFEROVANI და მდიდარია თავისი თვალწარმტაცი ბუნებით კურორტი ბახმარო. დიდია მისი სამკურნალო თვისებები, მაგრამ გული მტკივა, რომ ბუნებით ასე მდიდარი კურორტი მივიწყებულია.

ბახმაროში მიმავალი მანქანები მახარაძისა და ჩოხატაურის ავტოსადგურებიდან გადიან, მაგრამ მგზავრთა გადაყვანისათვის გამოყოფილი ავტობუსები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ დამსვენებელთა მოთხოვნილებას, მეტად გადატვირთული არიან. შეუკეთებელია გზებიც. ოღრო-ჩოღრო ადგილები ავარიის საშიშროებას ქმნის.

კურორტზე გამეფებულია სრული უსუფთაობა, ნაკლებად ზრუნავენ სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარებისათვის. გაკეთებული არ არის სპეციალური სანაგვე ყუთები. კურორტზე წყლის ნაკლებობაცაა.

ბევრი ნაკლია კულტურული მომსახურების მხრივაც. კურორტს აქვს მცირე ტევადობის კლუბი, რომელშიც უწესრიგოდ ხდება კინოსეანსების ჩვენება. იყიდება განსაზღვრულზე მეტი ბილეთები, რის გამო მაყურებელი იძულებულია ფეხზე იდგეს სეანსის ბოლომდე. „სოიუზპეჩატის“ კიოსკი ვერ აკმაყოფილებს დამსვენებლებს ჟურნალ-გაზეთებით, ხოლო რაც მოდის, ისიც დიდი დაგვიანებით.

ტ. მDINARAZE.

WERILI AR DABEJDILA, MAGRAM...

RAIKOMIS BIURO IMSJELA

მAIAKOVSKIS რაიონის სოფელ ობჩიდან რედაქციას სწერდნენ, რომ დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. გოგავამ და აგრონომმა გ. სირბილაძემ თვითნებურად ამოძარცვინეს 0,90 ჰექტარი ვენახი, საიდანაც ვაზი წაიღეს კოლმეურნეებმა და თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში გამორგეს, ხოლო ზოოტექნიკოსმა ე. გუმბერიძემ და მეცხოველეობის ფერმის გამგემ ა. კბილაშვილმა თავიანთი საკუთარი მოზვრები კოლმეურნეობის „დეკუულებზე“ გადაცვალეს და ა. შ.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომს, რომელიც რედაქციას ატყობინებს:

საქართველოს კპ მაიაკოვსკის რაიკომის ბიუროს 1960 წლის 9 აგვისტოს განხილა საკითხი — „სოფელ ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკის ხარჯთაღრიცხვა-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და სოფელ ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. გოგავას — კოლმეურნეობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებისა დაშვებისათვის — გამოუცხადა სახტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

სოფელ ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს ე. გუმბერიძეს — კოლმეურნეობის პირუტყვის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვით შეცვლისათვის — გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობის გამგეობას რჩევა მიეცა მოხსნას იგი თანამდებობიდან.

სოფელ ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეს ა. კბილაშვილს — კოლმეურნეობის პირუტყვის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვით შეცვლისათვის — გამოუცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ბიუროომ მიიღო ცნობად, რომ ე. გუმბერიძისა და ა. კბილაშვილის მიერ მეცხოველეობის ფერმიდან გამოყვანილი დეკეულები დაბრუნებულია კოლმეურნეობაში.

ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას დავალა განიხილოს აგრონომ ბ. სირბილაძის საკითხი და სათანადო ზომები მიიღოს მის მიმართ.

„KOMUNISTIS“ SIGNALIS SEMDEG

„DAPARGULI TRADICIEBI“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. წერილში მოყვანილი ფაქტები საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ შემოწმების შედეგად მთლიანად დადასტურა და სპეციალურად განიხილა თავის სხდომაზე.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მმართველს ა. ვარდიშვილს, მთავარ ინჟინერს **გ.** მიქაშავიძეს, შახტების უფროსებსა და მთავარ ინჟინრებს დაავალა ძირეულად გაუმჯობესონ დაგეგმვის საქმე, შახტებისა და უბნების საწარმოო გეგმების დადგენის დროს მხედველობაში მიიღონ საწარმოო გეგმების როდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ფაქტიურად მიღწეული პროგრესული დონე, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული რეზერვები.

ერთი თვის ვადაში დასახონ ღონისძიებანი და უზრუნველყონ მათი განხორციელება შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გაზრდისა და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის როგორც ცალკეული შახტების, ისე მთლიანად ტრესტის მიხედვით; უზრუნველყონ ქვანახშირის შლამის გაშრობა და მასში სინესტის ნორმამდე დაყვანა; უმოკლეს დროში დაწვრილებით განიხილონ შახტებისა და ცალკეული უბნების ჩამორჩენის მიზეზები, განახორციელონ ღონისძიებანი მათ მიერ საწარმოო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად, შეისწავლონ და დანერგონ კრივოი როგის მაღაროების „გიგანტისა“ და „ბოლშევიკის“ კოლექტივების გამოცდილება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **დ. ჩიკვაიძემ** და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მმართველმა **ა. ვარდიშვილმა** სახალხო მეურნეობის საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ წინადადებანი ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების სისტემების დადგენისათვის იმ საკვლევი მუშაობის დაჩქარების თაობაზე, რომელსაც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტი აწარმოებს, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს **კაპიტალური** მშენებლობის უფროსმა **თ. კინწურაშვილმა** და საქართველოს შახტმშენის ტრესტის მმართველმა **შ. გარდაფხაძემ** ათ დღეში უნდა განიხილონ ტყვარჩელის № 8 შახტის მშენებლობის საკითხი და წარმოადგინონ მშენებლობის გაუმჯობესების წინადადებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს **ვ. აბესაძეს** წინადადება მიეცა მიიღოს გადამჭრელი ზომები ტყვარჩელის ქვანახშირის რეალიზაციისათვის.

აTASZE მეტი მშრომელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან დაისვენებს და აღიდგენს თავის ჯანმრთელობას წელს მაღალმთიან კურორტ ჯავაში.

* * *

სურათზე: კურორტ ჯავის № 1 სანატორიუმის დამსვენებლები.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

SOCIALISTURI SEJIBREBA

GAMARJVEBULNI

ამIERKAVKASIIS რკინიგზის ხელმძღვანელობამ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს მაგისტრალის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მიმდინარე წლის ივლისის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულთ მიანიჭეს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

ამIERKAVKASIIS რკინიგზის სამმართველოს და მაგისტრალის პროფკავშირული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი პრემიები მოიპოვეს გზიბის ღორღლის ქარხნის, სოხუმის ენერგომომარაგების უბნის, № 117 სამშენებლო-სამონტაჟო კოლონის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სასახურის საწარმოო კომბინატის, ტყიბულის სადგურის, ბათუმის ვოგზლისა და სოხუმის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის კოლექტივებმა. შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისის სატვირთო სადგურის, ხაშურის სალიანდაგო დისტანციის, სამტრედიის შენობათა და ნაგებობათა დისტანციის, ხაშურის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, აირუმის ღორღლის ქარხნის, ხაშურის ვოგზლის მშრომელებმა და სხვებმა. მათ მიიკუთვნათ მეორე ადგილები და შესაბამისი ფულადი პრემიები.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს ხაშურის ენერგომომარაგების უბნის, გაბრის ვოგზლის კო

ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს რომში

ROMA XVII MCMLX

ოლიმპიადის ჩაქრობელი ცეცხლი აგიზგიზდა რომის თავზე. პირველად იგი კაპიტოლიის შენობის ავანზე ენთო, რომელსაც თეთრ საპარადო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები იცავდნენ, ხოლო დღისით მორბენალმა, რომელსაც ჩირაღდანი ეჭირა, ოლიმპიური ცეცხლი სტადიონზე აანთო.



სურათზე: სამფეხა ოლიმპიური ცეცხლით, რომელიც დადგმული მუნიციპალიტეტის შენობის წინ რომში.

საკდესის ფოტო.

წყალბურთელთა ტურნირი

რომი. 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს დაიწყო წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ 16 ქვეყნის სპორტსმენები.

წყალბურთი ერთ-ერთი უძველესი ოლიმპიური სახეობის სპორტია. უკანასკნელ ექვს ოლიმპიადაში ჩემპიონობის ოქროს მედლების ძირითადი პრეტენდენტი ყოველთვის უნგრეთის გუნდი იყო. უნგრელმა სპორტსმენებმა ოთხჯერ მოიპოვეს ეს სამპატიო წოდება და მხოლოდ ორჯერ — 1928 და 1948 წლებში დაუთმეს პირველი ადგილი გერმანელებსა და იტალიელებს.

ამდენად, როგორც საბჭოთა წყალბურთელების გუნდის კაპიტანმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პ. მუშვენიერაძემ განაცხადა, ოლიმპიელთა ოქროს მედლებისათვის ბრძოლა ძირითადად გაიმართება ოთხ გუნდს— უნგრეთის, სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და იტალიის გუნდებს შორის, რომელთა ძალები დაახლოებით თანაბარია. მაგრამ ლიდერებისათვის ბევრი უსიამოვნების მიყენება შეუძლიათ რუმინეთის, გერმანიის გაერთიანებული გუნდის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჰოლანდიის სპორტსმენებს.

წილისყრის შემდეგ გამოირკვა ქვეჯგუფების შემადგენლობა: 1. იტალია, რუმინეთი, იაპონია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა; 2. სსრ კავშირი, გერმანია, არგენტინა, ბრაზილია; 3. იუგოსლავია, ჰოლანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი, ავსტრალია; 4. უნგრეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, საფრანგეთი.

შესარჩევ შეჯიბრებაში გამარჯვებული რვა გუნდისაგან შეიქმნება ორი ნახევარფინალური ქვეჯგუფი.

გუშინ 0 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით სსრ კავშირის გუნდი შეხვდა გერმანიის გაერთიანებულ გუნდს. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით, ანგარიშით 5:4, (4:1, 1:3).

წყალბურთელთა შესარჩევ თამაშში, რომელიც აგრეთვე გუშინ გაიმართა, იუგოსლავიის გუნდმა გაიმარჯვა ჰოლანდიელ წყალბურთელებზე ანგარიშით 2:1. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წყალბურთელებმა ფრეს მიალწიეს იაპონელ წყალბურთელებთან მატჩში. შეხვედრის ანგარიშია 8 : 8.

იტალიის გუნდმა მოიგო რუმინეთის წყალბურთელებს (4:3), სამხრეთ აფრიკის კავშირის გუნდმა — ავსტრალიის გუნდს (8:2). ბრაზილიისა და არგენტინის წყალბურთელთა თამაშში დამთავრდა ფრედ 2:2.

პირველი ოქროს მედალი

რომი, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიმართა 100-კილომეტრიანი გუნდური რბოლა გელოსიპედით. იტალიის გუნდმა გამარჯვება მოიპოვა ამ რბოლაში და მოიგო რომის ოლიმპიადის პირველი ოქროს მედალი.

საბჭოთა გელოსიპედისტებმა მესამე ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საბჭოთა კავშირის კალათბურთელებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს ოლიმპიური ტურნირის წინასწარ შეხვედრებში. საბჭოთა სპორტსმენები შეხვდნენ მექსიკის გუნდს და თამაში დაამთავრეს ანგარიშით 66:49 (28:17) თავიანთ სასარგებლოდ.

დილით „სტადიო დელ ნუოტოს“ აუზში ბრძოლა დაიწყეს მსოფლიოს უძლიერესმა მოცურავეებმა. 100 მეტრზე ცურვაში თავისუფალი სტილით სტარტი აიღო 50-ზე მეტმა სპრინტერმა, მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენმა დ. დეკერტმა (ავსტრალია), ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ჰენრიქსმა (ავსტრალია) და სხვებმა.

საბოლოოს შედეგი აქვს ლ. ლარსონს (ამერიკის შეერთებული შტატები) — 55,4 წამი, რაც მხოლოდ 0,3 წამით უარესია ოლიმპიურ რეკორდზე. საბჭოთა სპორტსმენები ი. ლუფკოვსკი და ვ. სოროკინი თავიანთ შესაძლებლობაზე რამდენადმე უარესად გამოვიდნენ, მაგრამ შეავიდნენ 24 ნახევარფინალისტის რიცხვში.

200 მეტრ დისტანციაზე ცურვაში ბრასით გერმანიის გაერთიანებული გუნდის სპორტსმენმა ქალმა ვ. ურზელმანმა დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი —2 წუთი და 52,0 წამი. საბჭოთა მოცურავე ლ. კორობოვამ, რომელიც მეორე გაცურვაში მონაწილეობდა, სწორად ვერ გაიანგარიშა ძალები და ფინიშთან მიკიდა შედეგით 3 წუთი და 02,7 წამი, ე. მაურერმა (სსრ კავშირი) დისტანცია დაამთავრა 3 წუთსა და 03,1 წამში. ორივე საბჭოთა სპორტსმენი ვერ მოხვდა 8 საუკეთესოთა შორის და გამოვიდა შემდგომი ბრძოლიდან. ამ დისტანციაზე ფინალი გაიმართება ხვალ.

უნგრელ კალათბურთელთა გამარჯვება

რომი, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ XVII ოლიმპიური ასპარეზობის კალათბურთის ტურნირზე უნგრეთის გუნდმა ანგარიშით 93:66 მოუგო იაპონის კალათბურთელებს. თამაშის პირველი ნახევრის შედეგი იყო 48:26 უნგრელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის, გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთის, იტალიისა და უნგრეთის სპორტსმენებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ ალბანოს ტბაზე ბაიდარებითი ნიჩბოსნობის ქალთა შეჯიბრების ნახევარფინალებში.

შეხვედრები რინგზე

რომი, 26 აგვისტო. (საკდესი). „ალაციო დელო სპორტის“ დარბაზში დაიწყო მოკრივეთა შესარჩევი შეხვედრები. ამ სპორტის სასახლის რინგზე, რომელიც 20 ათას მაყურებელს იტევს, ოლიმპიურ მედლებს ერთმანეთს ეცილება ხელოთამანის ოსტატთა სარეკორდო რიცხვი — 300-ზე მეტი კაცი. სრული გუნდები გამოიყვანეს საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იტალიამ, რუმინეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, სამხრეთ აფრიკის კავშირმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ.

საბჭოთა მოკრივეები პირველად ოლიმპიადაზე გამოვიდნენ 1952 წელს ჰელსინკში, სადაც შეძლეს მეორე გუნდური ადგილის დაკავება. შემდეგ ოლიმპიურ ასპარეზობაზე მელბურნში 1956 წელს ჩვენი ოსტატები მსოფლიოში უძლიერესი გუნდი გახდა მოყვარულთა კრივში, მან მოიპოვა ექვსი ოლიმპიური მედალი, მათგან სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი.

საბჭოთა მოკრივეები პირველ დღეს შეჯიბრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

ოლიმპიური ქრონიკა

□ „**რომი, სპორტი, 1960 წელი**“ — ასეთი სახელწოდების იქნება გაზეთი, რომელიც XVII ოლიმპიური ასპარეზობის დღეებში გამოვა რომში. გაზეთის ფურცლებზე თანმიმდევრულად გაშუქდება ოლიმპიადის პროგრამიდ[illegible] [illegible] ყველა სახეობა. გაზეთი დაიბეჭდება იტალიურ[illegible] [illegible]ბზე. გაზეთის საერთო ტირაჟი 50.000 ეგზემპლარი [illegible]

□ **ოლიმპიურ** სოფელში, რომელიც [illegible] ლთა ყურადღებას იპყრობს, ერთ-ერთ ქუჩას [illegible] ქუჩა. ოლიმპიური ასპარეზობის წინადღეებში მას სახელი [illegible] უნიონე სოვეტიკა“ შეარქვეს, რაც საბჭოთა კავშირის ქუჩას ნიშნავს.

□ **რომში** ჩქეფს სპორტული ცხოვრება. ოლიმპიური ასპარეზობის არენებზე იტალიის დედაქალაქის მშრომელებთან ერთად ათასობით ტურისტი იყრის თავს. სსრ კავშირიდან ამ გრანდიოზულ შეხვედრებს 500-ზე მეტი ტურისტი დაესწრება. ტურისტების უფლება აქვთ დაესწრნენ ყველა შეხვედრას. მათ პროგრამაში შედის აგრეთვე რომის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

□ **ოლიმპიური** ასპარეზობის გახსნა რომში მეგობრობისა და მშვიდობის ზეიმი იყო. სპორტსმენთა პარადში ყველაზე მეტი ოლიმპიელი გამოიყვანეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის გუნდებმა (თვითეულმა 245 კაცი). იტალიიდან გამოდიოდა 197 კაცი, ინგლისიდან და საფრანგეთიდან — 165 თვითეულიდან, უნგრეთიდან — 141, პოლონეთიდან — 137.

□ **რომის** ოლიმპიურ სოფელში სპორტსმენებისათვის გაიხსნა ახალი კინოთეატრი, რომელიც 700 მაყურებელს იტევს. ამ კინოში სპორტსმენებს უჩვენებენ მელბურნის, ჰელსინკის, ლონდონის, აგრეთვე ომისწინა ზოგიერთი ოლიმპიადის დოკუმენტალურ ფილმებს, რომლებსაც მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს.

ეს განამტკიცებს მეგობრობას

რომი, 25 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ოლიმპიური ასპარეზობა განამტკიცებს მეგობრობას — ასეთია ძირითადი აზრი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი, დაბეჭდილს დღეს სათაურში გაზეთი „ავანტი“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის გულთბილმა მიმართვამ წარმატების სურვილითა და იმედის გამოთქმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრა ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობის განმტკიცებასა და ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეთა, ჟურნალისტთა და იტალიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

გუშინ და დღეს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს გადასცემდნენ რომის რადიოთი. იტალიის დედაქალაქის მცხოვრებთ შეეძლოთ აგრეთვე მისი გაცნობა, თუ ტელეფონით მოისმენდნენ უკანასკნელ ცნობებს. გაზეთებმა „უნიტამ“ და „ავანტიმ“ გამოაქვეყნეს წერილის სრული ტექსტი.

მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის

საზღვარგარეთიდან კვლავ მოდის აღტაცებული გამოხმაურები საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაშვებისა და დედამიწაზე ცოცხალ არსებებისად დაბრუნებაზე.

როგორც **ბანკოდან** იუწყებიან, ვიეტნამის სოციალისტური პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მიესალმება დედამიწაზე მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის მშვიდობით დაბრუნებას და ამ ფაქტს უწოდებს „უპრეცედენტო მეცნიერულ მიღწევას“.

დიდმა **ინდოელმა** მეცნიერმა, ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარემ დოქტორმა ჰომი ბაბამ დელიში საკდესს კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირში კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვება ცოცხალ არსებებისად და მისი მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე „თვალსაჩინო ტექნიკურ გმირობას წარმოადგენს“.

საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ცდაში, თქვა დოქტორმა ბაბამ, მილოცვის ღირსნი არიან მათი წარმატებისათვის.

სათაურით „პერსპექტივები კოსმოსში“ **ამერიკულმა** გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმ-სმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის უდავო პირველობა კოსმოსის ათვისებაში. „რაც უნდა მოხდეს კიდევ თვის დამლევამდე, — წერს გაზეთი, — უკვე ცხადია, რომ 1960 წლის აგვისტო ისტორიაში შევა როგორც პერიოდი დიდმნიშვნელოვანი პროგრესისა კოსმოსურ სივრცეში ადამიანის შეღწევის საქმეში. შეერთებულმა შტატებმაც, საბჭოთა კავშირმაც ცხადყვეს უნარი დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნონ ორბიტაზე გაყვანილი საგნები... ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე საგრძნობი იყო საბჭოთა კავშირის წარმატება, რომელმაც დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნა ორბიტაზე მყოფი ცოცხალი ორგანიზმები... მთელი გულახდილობით უნდა გაღიაროთ, რომ საბჭოთა წარმატება აგვისტოში შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ შემდგომ მნიშვნელოვან გასწრებაზე შეერთებულ შტატებთან შედარებით კოსმოსური კვლევის დიდმნიშვნელოვან დარგებში შესაძლებლობის მხრივ. უკანასკნელი საბჭოთა თანამგზავრის უდიდესი ღირებობა კვლავ მოწმობს საბჭოთა პირველობას იმ რაკეტების სიმძლავრეში, რომელიც საჭიროა მეტად მძიმე ხომალდების ორბიტაზე გასაყვანად. ხოლო თუ მართალია საბჭოთა მტკიცება, რომ მფრინავი სამხეცე ძირს დაეშვა სულ რამდენიმე მილ მანძილზე მოცემული პუნქტიდან, — ხოლო ამჟამად არ არის საფუძველი სადავოდ გავხდოთ ეს მტკიცება, — მაშინ საბჭოთა პოტენციალი ამ დიდმნიშვნელოვან დარგში უეჭველად სჭარბობს დადარჩენის შედარებით პრიმიტიულ ტექნიკას, რომელიც ჩვენ ამ თვეში ვიჩვენეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი უფრო ახლოს ვიდრე ჩვენ, მიეიდა ადამიანის ფრენასთან კოსმოსში და რომ მას შეუძლია ეს განახორციელოს წლის დამლევამდე. საბჭოთა კავშირის უკანასკნელ კოსმოსურ წარმატებამდე ზოგი ვინმე იმ ადამიანთა შორის, რომლებიც სურვილს სინამდვილედ იღებენ, ამტკიცებდა, რომ ჩვენ წინ გავიჭერით კოსმოსურ შეჯიბრებაში. ახლა, უფრო სწორი თვალსაზრისით, ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით... ჩვენ ბევრი მძიმე მუშაობა და ბევრი ძვირადღირებული გამოკვლევა და ექსპერიმენტი მოგვეღის იმისათვის, რომ შევძლოთ იმ უპირატესობათა შეწყვეტა“.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაშვებას კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს **მექსიკის** პრესა. გაზეთები აქვეყნებენ სარედაქციო სტატიებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის გაშვებას და მის წარმატებით ძირს დაშვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის. ჩვენ ეს მოვლენა მიგვაჩნია, წერს გაზეთი „დიარიო დე მეხიკო“, მეცნიერულ ტრიუმფად მთელი კაცობრიობისა, რომელიც იბრძვის პროგრესისათვის.

25 აგვისტოს **ვიეტნამის** დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა მიიღო საბჭოთა კორესპონდენტები და შემდეგი განცხადება გაუკეთა: „საბჭოთა კოსმოსური ხომალდის წარმატებით გაშვებასა და დედამიწაზე დაბრუნებასთან დაკავშირებით მსურს საბჭოთა კავშირის ხალხს ძმურად მივაგზავნოთ ჩვენი სალამი. ეს არის არა მარტო საბჭოთა ქვეყნის თვალსაჩინო მიღწევა, არამედ აგრეთვე სოციალიზმის იდეების შესანიშნავი გამარჯვება. ვიეტნამელი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა მეცნიერების უმიგალითო გმირობის შესახებ, რომელსაც დღეს ტაშს უკრავს მთელი მსოფლიო.

ახლა საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის წინ მსოფლიო ტექნიკური პროგრესის სათავეში. კოსმოსის ათვისების დარგში მან ბევრად გაესწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს ახლა იძულებული არიან აღიარონ თვითონ ამერიკელებმაც.

(საკდესი).

საბჭოთა სატვირთო ავტომანქანები კონგოში ჩაიტანეს

თბილისელი „არხანგელსკი“, 26 აგვისტო. (საკდესი). თბილისელ „არხანგელსკის“ კაპიტანი ამხ. ნოვიკოვი რადიოთი იუწყება: „გუშინ თბილისელმა დატოვა მატადის ნავსადგური. შესრულებულია მთავრობის დავალება — 100 სატვირთო ავტომანქანა, მათი აღჭურვილობა და ავტოსარემონტო სახელოსნო — საბჭოთა ხალხის სიჩუქარი კონგოსადმი — ჩაგვეტანა კონგოში. კონგოს მთავრობის სახელით ტვირთი საზეიმო ვითარებაში მიიღეს ეკონომიკის მინისტრმა ნგუვეულუმ, უპორტფელო მინისტრმა კიბანგუმ, მატადის ტერიტორიის შეფმა კონდემ. კონგოში თბილისელ „არხანგელსკით“ ჩასული ინსტრუქტორები ავტომანქანებს ამზადებენ ლეოპოლდვილში ტრანსპორტირებისათვის.

კონგოს მთავრობის სახელით მინისტრმა ნგუვეულუმ მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და ხალხს უანგარო დახმარებისათვის“.

პროვოკაციული მანევრები კონგოში

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დღეებში უცხოეთის საინფორმაციო ბიუროებსა და პრესა ავრცელებდნენ ცნობებს მალის ფედერაციის ჯარის ნაწილებში მძლავრების შესახებ; ეს ნაწილები შედიან კონგოში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების კონტინგენტებში. ამ ცნობებში ნაგულისხმევია, რომ ამ ნაწილების ჯარისკაცებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ თავიანთ უფროსებს, რომ მოხდა შეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან და იყო თვითნებური მოქმედების შემთხვევები. შემდეგში ყველა ეს ცნობა უარყო კონგოში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობამ.

კორესპონდენტია ალბერტვილიდან, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია გაზეთ „დეილი მეილში“, ამტკიცებს ასეთი ინფორმაციის სარჩულს და მის დანშფულებას. ცნობა მალის ფედერაციის ჯარის ნაწილის ამბოხების შესახებ, წერს ამ გაზეთის კორესპონდენტი, ჩრდილეთ გამოგონებაა.

ავრცელებდა რა ჭორებს კონგოში მალის ჯარების „ამბოხების შესახებ“, იმპერიალისტური პრაპაგანდა ისწრაფოდა დაემტკიცებინა, რომ საჭიროა კონგოში ბელგიის ჯარების ყოფნა, აგრეთვე კატანგაში ადგილობრივ სახელმწიფოთა ჯარის ნაწილების ევროპის ქვეყნების ჯარისკაცებით შეცვლა. „დეილი მეილის“ კორესპონდენტის სიტყვით, კატანგის შინაგან საქმეთა მინისტრი მუნონგო განაგრძობს მტკიცებას, რომ მალის ჯარის ნაწილების ჯარისკაცები არ ემორჩილებიან თავიანთ ოფიცრებს და ცდილობს კატანგიდან გაიყვანოს მალის ჯარის ნაწილები. იგი კიდევაც ირწმუნებოდა, რომ ჯარისკაცებმა უარი თქვეს ჩარეულიყვნენ, როცა „აჯანყებულნი“ თავს დაესხნენ ალბერტვილს. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, შე ვერ ვნახე მუნონგოს მტკიცების ვერავითარი დადასტურება.

არჩევნების გამო ირანში

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ირანში პარლამენტის არჩევნებს, ფრანს პრესის სპეციალური კორესპონდენტი თეირანიდან გადმოგვცემს, რომ არჩევნებს ახასიათებს პირველ რიგში ამომრჩეველთა გულგრილობა და აპათია. კერძოდ, — ეს ეხება ინტელიგენციას, რომლის წარმომადგენლები ამჯობინებდნენ თავი შეეკავებინათ ხმის მიცემისაგან.

როგორც ცნობიდან ცხადი ხდება, ირანის ოფიციალურ ხელისუფალთა განცხადების საწინააღმდეგოდ, რომ გარანტირებულია ამომრჩეველთა ნების გამოვლინების თავისუფლება, არჩევნები მიმდინარეობდა პოლიტიკური და პოლიციური ზეგავლენის ვითარებაში.

„ოპოზიციური“ პარტია „იარდომის“ წარმომადგენლებმაც კი ეჭვი გამოთქვეს არჩევნების თავისუფლების შესახებ, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატებმა მთავრობას წარუდგინეს დოკუმენტალურად დასაბუთებული ბრალდებანი, რომ ცდილობდნენ ელექტები და ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი ფენები აიძულებინათ ხმა მიეცათ მმართველი პარტიის „მელიუნის“ კანდიდატებისათვის. მათ მოითხოვეს არჩევნების შედეგების გაუქმება.

კორესპონდენტის სიტყვით, ბევრი პოლიტიკური მეთვალყურე თეირანში აღნიშნავს, რომ თუ ოპოზიციას არჩევნების ბერიოდში ჰქონდა რაღაც შესაძლებლობა გაეკეთებინა კრიტიკული შენიშვნები მთავრობის მიმართ, საარჩევნო კამპანიის შემდეგ მთ სავსებით წაერთმევათ ეს შესაძლებლობა, რადგან ხელისუფალნი უკვე ახლა აშკარად აცხადებენ, რომ ყოველ ამგვარ ცდას მიიჩნევენ როგორც სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების ხელყოფას.

ამ დღეებში ვან კლიბერნი გამოვიდა მოსკოველი ტელემაყურებლების წინაშე. ტელესტუდიაში მან მოულოდნელად დაიხატა ბელკა და სტრელკა. ამ საინტერესო „ნაცნობობის“ სამახსოვროდ კლიბერნმა ითხოვა გადაეღოთ იგი „კოსმოსურ ვარსკვლავებთან“ ერთად.

ფოტო ვ. გენდე-როტესი. (საკდესი).

ნიქსონი შეშინებულია...

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). შიშით უდიდესი მიმზიდველი ძალის წინაშეა ამერიკის სოციალისტის ქვეყნებს აქვთ იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც ბრძოლით ბოლოს ბოლოს ებრძოლნენ თავიანთ სახელმწიფოთ თავიანთ ვადამასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას და თავიუფლებდებიან უცხოეთის მონოპოლიების მონობისაგან, გამსჭვალულია ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის სიტყვა უცხოეთის ჯარების ვეტერანთა ეროვნულ ყრილობაზე დეტროიტში; ნიქსონის სიტყვა გამოაქვეყნა გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“. ვიცე-პრეზიდენტი აშკარად დაშინებულია ახალი სახელმწიფოებისადმი დახმარებისა და უანგარო მხარდაჭერის პოლიტიკით, რომელსაც სსრ კავშირი და სოციალიზმის სხვა სახელმწიფოები ახორციელებენ. ქარაგმულად, არაპირდაპირ იგი აღიარებს, რომ ეს პოლიტიკა ხალხთა მაღლიერებას იწვევს.

„გენერლებმა ნიღაბი ჩამოიხადეს“

ბონი, 25 აგვისტო. (საკდესი). ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა განცხადება ბუნდესვერის ხელმძღვანელი შტაბის მემორანდუმის გამო, რომელშიც წამოყენებულია ულტიმატური მოთხოვნა ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ. გაერთიანება გადაჭრით აცხადებს პროტესტს გენერლების ამ თავხედური მოთხოვნის წინააღმდეგ, რომლებიც გერმანელ ხალხს უმზადებენ ახალ სამხედრო კატასტროფას.

ჩვენი ხალხის ისტორიაში, ნათქვამია განცხადებაში, გენერლები მიმდინარე საუკუნეში ორჯერ ჩაერივნენ „პოლიტიკაში“. და ორივეჯერ საშინელი ჭეტისა და მილიონობით და მილიონობით ადამიანის დაკარგვის შემდეგ ჩვენი ხალხი მიყვანილი იყო დაღუპვის პირას. ისეთი გენერლების მაზეზით, როგორიც არიან ჰოიზინგერი, რუგე, კამპუბერი და ცერბელი, რომლებიც ჰიტლერულ გერმანიაში მსახურობდნენ. ამ გენერლებს ახლა ბუნდესვერი მიპყავთ იმ გზით, რომლითაც სავსებით უგულებელყოფილია ორი მსოფლიო ომის ბაკეთილები... ბატონმა გენერლებმა ნიღაბი ჩამოიხადეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მემორანდუმი წარმოადგენს „მხედრული ქედმაღლობისა და ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდის ნარევს“.

მდგომარეობა ლაოსში

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ლაოსის ეროვნულმა კრებამ დღეს სპეციალურ სხდომაზე დაადასტურა, რომ პრინც სუვანა ფუმას მთავრობა არის სამეფოს ერთადერთი კანონიერი მთავრობა. სხდომას დაესწრო ტაო სომსანიტი, რომლის მთავრობა გადატრიალების შედეგად დაეგმო.

მეამბოხე გენერლის ფუმა ნოსავანის პოზიცია, ტაილანდის საზღვარზე რომ თავი შეიფარა სავანაკეტში, „კვლავ უცნობია, იმის მიუხედავადაც კი, რომ პრინცმა სუვანა ფუმამ ელვისებურად იმოგზაურა სავანაკეტში სამშაბათს, 23 აგვისტოს, ხოლო შემდეგ გამოაცხადა, კრიზისი მოწესრიგებულიაო“.

მიუხედავად პერმიერის განცხადებისა შეთანხმების მიღწევის შესახებ, სავანაკეტის რადიოსადგური კვლავ თავს ესხმის მთავრობას, გუშინ საღამოთიდან მოფრენილმა თვითმფრინავმა კიენტიანში კვლავ ჩამოყარა მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები.

ეროვნულმა კრებამ გადაწყვიტა დელეგაცია გაგზავნოს სავანაკეტში.

„ჩემი შენ გითხარი —გუდი მოგიკადი“

პერტერის გამოსვლა თათბირზე კოსტა-რიკაში

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო, (საკდესი). როგორც ლეჰენშათა საააგენტოების კორესპონდენტები სან-ხოსედან (კოსტა-რიკა) იუწყებიან, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც იქ მიმდინარეობს, გუშინ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი პერტერი. მან გაიმეორა ამერიკის პროპაგანდის გაცვეთილი „სიბეთი“, რომ კუბის მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თითქოს „ლათინური ამერიკის ხალხებისათვის საფრთხეს“ წარმოადგენს. კუბის კავშირი სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ამტკიცებდა პერტერი, წარმოადგენს „უცხოეთის ჩარევას ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში არანაკლებ, ვიდრე აშკარა შეიარაღებული აგრესია“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა შემდეგ დაუშვა უხეში ჩარევა ამერიკის საქმეებში“ და „დაგმო“ კუბა იმისათვის, რომ იგი „შეშფოთებულობას“ იჩენს და ასეთ „ჩარევას“ აკეთებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უსაფუძვლო გამოსვლამ, რომელიც გარდა ძველი ჭორებისა არაფერს არ შეიცავდა, ერთხელ კიდევ ცხადყო ამერიკის მთავრობისა და მისი ცდის მთელი ფარისეველობა კარიბის ზღვის რაიონში დაძაბული მდგომარეობის ბრალი დასდოს კუბას და გაამართლოს თავისი აგრესიული მოქმედება მის წინააღმდეგ.

სახელმწიფო მდივნის ეს გამოხდომები განკუთვნილია იმისათვის, რომ ლათინური ამერიკის დელეგაციები „დაარწმუნოს“, რომ „საჭიროა“ მიღებულ იქნეს ღონისძიება რეგოლუციური კუბის წინააღმდეგ. ეს გამოხდომები ჰერტერს დასჭირდა იმასთან დაკავშირებით, რომ თათბირზე სერიოზულად გაიბზარა „ბადაღებული საამერიკათაშორისო „ერთობა“. ამერიკის გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტის მელვინ მენჩორის სიტყვით თათბირზე თავი იჩინა „იმან, რომ ლათინური ამერიკის ბევრ მთავრობას აშკარად არა სურს გადამჭრელი ანტიკუბური პოზიცია დაიკავოს“. გარდა ამისა, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, ლათინური ამერიკის ხალხის მასები „მძლავრ მხარდაჭერას უწევენ კასტროს“.

სან-ხოსედან მიღებული ცნობების თანახმად, უკვე ახლა ცხადი ხდება, რომ ამერიკის დიპლომატია ვერ შეძლებს მიაღწიოს „ერთიან ფრონტს“ ისეთი რეზოლუციის მისაღებად რომელიც კუბის საშინაო საქმეებში ჩარევის იურიდიულ საფუძველს იძლეოდეს. როგორც ზემოაღნიშნული გაზეთის „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, „სავსებით ცხადია, რომ ახლანდელი სესია არ მისცემს კუბის გადაჭრით დაგმობას“, ძირითადი ფაქტორი, რომელიც იწვევს ლათინური ამერიკის დელეგაციების წინააღმდეგობას სახელმწიფო დეპარტამენტის ზეგავლენისადმი, აღნიშნავს კორესპონდენტი, ის არის, რომ „ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობას ეშინია თავის წინააღმდეგ არ აამხედროს კუბის სასარგებლოდ განწყობილი ხალხის მასები“.

გაზეთი „კომბა“ ნატოში კრიზისის შესახებ

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). „ნატო კრიზისს განიცდის“, — წერს დღეს გაზეთი „კომბა“ და იმოწმებს ხმებს ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ნორსტადის გადადგომის შესახებ.

აღნიშნავს რა უთანხმოების გაძლიერებას ნატოში, გაზეთი, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პენტაგონი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბონს, ვიდრე საფრანგეთს, რომელიც მის უმცოყოფილებას იმით იწვევს, რომ უარი თქვა თავისი საბჭედრო ავიაციის შეიყვანოს ეგრეთწოდებული „დასავლეთის თავდაცვისთვის“ განკუთვნილ ჯარებში.

„ბერლინგერ ცეიტუნგ“ ჩარევის შესახებ

ბერლინი, 25 აგვისტო. (საკდესი). „ბერლინგერ ცეიტუნგ“ ეხმიანება ამერიკელ ოფიციალურ პირთა ბოლოდროინდელ ინსინუაციებს, ამტკიცებენ, ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებს ამ ინსინუაციებ

ტელეგრაფი გვაცყობინებს

„აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფერენცია

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, 25 აგვისტოს კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქ ლეოპოლდვილში გაიხსნა აფრიკის დამოკიდებულ სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ საკითხს იმპერიალისტური წრეების აგრესიული ხრიკების შესახებ კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის წინააღმდეგ, აგრეთვე განიხილავენ ამოცანებს, რომლებიც დგას აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნების წინაშე თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში.

პოლანდიას დასავლეთ ირიანში გადაყავს ჯარები

ჰოლანდია განაგრძობს დასავლეთ ირიანში ჯარების გადაყვანას. როგორც გაზეთი „დე ვაარპეიდი“ იუწყება, სექტემბ

ბრალი მუყამბა

ცნობილმა რუსმა საბჭოთა მწერალმა კონსტანტინე პაუსტოვსკიმ ახლახან დაამთავრა თავისი დიდი ავტობიოგრაფიული რომანის მეხუთე წიგნი, რომელსაც „ნახტომი სამხრეთში“ ეწოდება.

პაუსტოვსკი ამ ორმოციოდე წლის წინათ კარგახანს ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში — ბათუმში, სოხუმში, თბილისში. აქ მიღებული შთაბეჭდილებებით მან შემდეგ რამდენიმე მხატვრული ნაწარმოებიც შექმნა („ კოლხიდა“, „შავი ზღვა“).

„ნახტომი სამხრეთში“ წიგნიდა ავტობიოგრაფიული წიგნია, რომელშიც მოთხრობილია მწერლის თავგადასავალი ახალი ცხოვრების გზაზე შემდგარ საქართველოში. წიგნის ყოველი სტრიქონი სავსეა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით.

კონსტანტინე პაუსტოვსკის ამ ახალ წიგნს ემზადებიან გეზდავენ საქართველო „ოქტიაბრი“ და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო — ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“.

რამდენადმე შემცირებული სახით ვაქვეყნებთ ერთ-ერთ თავს წიგნიდან „ნახტომი სამხრეთში“.

თბილისს განაპირას ვერისა და ორთაჭალის ცნობილი ბაღები გაშლილიყო.

ის ადგილები ზაფხულობით სამხიარულოდ და დასასვენებლად იყო მიღებული. ყოველი პაწაწა ბაღიც კი კაფეშანტანად ან დუქნად ექცეოთ.

შეღამებისას, დაცრეცილი თუ არა პაპანაქება, თბილისელები იმ ბაღებისკენ მიეშურებოდნენ, ვინც ცოტა მდიდარი იყო, — წყვილცხენიანი ეტლით, ღარიბები კი — ფეხით.

იმ კაფეშანტანებს უცნაურად აბურბურებული და უგემოვნო სახელები ერქვა. ყველაზე ძვირფასი შანტანი „ელდორადო“ იყო, იმის „ფანტაზია“, „სან-სუსი“, „შანტეკლერი“ და „ჯენტლმენი“ მისდევდნენ.

ორთაჭალის ბაღების შორიახლო „მხიარული“ ქუჩები იყო. კაფეშანტანთა ბევრი სტუმარი პირველად ამ ქუჩებს გაუვლიდა ხოლმე, და იქიდან კისკისა გოგონები მოჰყავდათ.

რა ელოდა თბილისელს ამ ბაღებში: სიგრილე, ცხვრის მწვადის მსუბუქი ოხშივარი, სიმღერა, როკვა, ლოტოს თავდამავიწყებელი თამაში და ლამაზი, გაავსიტყვებული ქალები.

ყველაზე მეტად ჩინართა და თუთასხეთა ჩეროები იზიდავდნენ ხალხს. ძნელი მისახვედრი იყო, თუ რა სიგრილე სძლევდა ამ ხეთა ჩრდილქვეშ, როცა გვერდით სიცხის ლული ასდიოდა თბილისს, ანთებულ მთათა რკალში მოქცეულს, და ახლომახლო ბორცვ-გორაკებიდან შეუშფოთებლად ვერც დადგავდა კაცი. ისე ჩანდა, თითქოს თბილისი ვარვარებს და სადაც არის უზარმაზარ ჭიაკოკონად აბრიალდებაო.

შეიძლება, იმ სიგრილეს შაღრევნები წარმოშობდნენ ან შორეულ თოვლიან მთებს მოჰქონდათ ბაღებში უჩუმარი სიო. ქალაქში მარტო გათენებისას თუ ამოისუნთქავდა კაცი, როცა ღამე ოღნავ შეგრილებდა სახლებს. მაგრამ კახეთით ამოიწვერებოდა თუ არა მზე, ქუჩებს იმ წუთას მომთენთავი სიცხე აალიცლიცებდა.

ვერის ბაღების მომღერლებში ერია ერთი ზოზინა, ტანწვრილი და მხარგანიერი ქალი, რომელსაც ბრინჯაოსფერი თმა, ნაზი, მოღერებული კისერი და ვარდივით სხეული ჰქონდა.

გარუსებული გერმანელიაო, ამბობდნენ იმ შანტანში, სადაც ის ქალი საღამოობით მღეროდა, მაგრამ ბაღის პატრონი.., როგორც კი ამნაირ ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს, ნამდვილ აყალმაყალს ატეხდა ხოლმე.

— ალბათ თავში ყირამალა გაქვს ტვინი! — ყვიროდა ბაღის პატრონი. — გაგგია ქვეყანა — საფრანგეთი?

— გამიგია! მერე? — მორუშხული ეტყოდა მოქეიფე კაცი.

— იცი, რომ საფრანგეთში გუბერნია ელზა? — იცი? აი, იმ გუბერნიელია, ელზელი. უმაღლესი ხარისხის ფრანგია. რა ხალხია, უბრალო ამბებიც არ იციან! ჩხუბი, იცოცხლე, იციან, ხურდას არაგის მისცემენ. ქუჩაში გოგოების გაბახუნებაც იციან, კარტში მამაძაღლობაც იციან, მაგრამ მოფიქრებაზე თუ მიდგა საქმე, ის აღარ იციან!

მარგარიტა იშვიათად თუ ვინმეს დაეთანხმებოდა ერთად ვახშმობაზე, მაგრამ პატარ-პატარა საჩუქრებს კი გულგრილად, როგორც სავალდებულოს, ყოველთვის იღებდა, მერე იმ საჩუქრებს თავის მეგობარ ქალებს დაურიგებდა ხოლმე.

ნამდვილად ძნელი მისახვედრი იყო, თუ რას ფიქრობდა იგი ცხოვრებაზე, მეტადრე კაცებზე. ისე კი ბევრს უნდოდა, საყვარლად გაეხადა მარტოხელა ქალი.

ლაპარაკით ცოტას ლაპარაკობდა, სიმღერით კი რაღაცა არაჩვეულებრივი, როგორც ამბობდნენ, ორმაგი ხმით მღეროდა.

მოსასმენად ხან ოპერის მსახიობები და მუსიკოსებიც მოდიოდნენ. მარგარიტა ისე მღეროდა, თითქოს ერთ ხმას მეორე, ქვეხმასაც აყოლებსო, ის ხმა კი მიმწყდარ გამოძახილს ჰგავდა.

მსახიობები ამბობდნენ, ნამდვილად „ეოკალური ცოუნებააო“, ისე როგორც „მხედველობითი ცოუნებაც“ არსებობსო. არავითარი მეორე ხმაო.

ასე ლაპარაკობდნენ ისინი და დავობდნენ, მაგრამ თუ კი მარგარიტა მღეროდა, ყველას ორმაგი ხმა ესმოდა...

ერთხელ მომღერლებმა და მუსიკოსებმა მთელი ღამით დაიქირავეს დუქანი „ვარიაგი“, მარგარიტაც მიიწვიეს და სიმღერის მოყვარულთათვის დახურული კონცერტი მოაწყეს.

კონცერტის შემდეგ ადგა მოხუცი დირიჟორი და თქვა, ადამიანის ხმა ყველაზე რთული მუსიკალური საკრავიაო. როიალზე და ვიოლინოზეც უფრო მდიდარია და ამიტომ, თუ კი ხმაში ერთდროულად რამდენიმე ტონალობა არსებობს, სულ ადვილი შესაძლებელი და ბუნებრივი ამბავიაო.

მარგარიტას კი თავი დაეხარა და ღვინოსა სვამდა. ღაღადაა აბრეშუმის კაბის შუქზე თმა მოხანძრისფრო უჩანდა. იგი თვალებს ასწევდა ხოლმე მაღლა და ყველას მიხედ-მოხედავდა, ვინც სუფრაზე იჯდნენ, მაგრამ თვალის გუგათა ჩაბნედულ სიღრმეებში არც ცეცხლი ეტყობოდა და არც ღიმილი.

კარის სახელურს ერთი მაღალი, ძალზე გამხდარი, პირხმელი ქართველი მიჰყრდნობოდა. ქართველს ნაოვლიანი თვალები ჰქონდა. ტანზე ძველი ხიფთანი ეცვა. იდგა ერთ ადგილას და მარგარიტას უმზერდა.

ის კაცი მოხეტიალე მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი იყო. ნიკოს მარგარიტა უყვარდა. იმ ერთს მისჩერებოდა მთელ ქვეყნიერებაზე.

„ლხინი ვაზის ტალავერში“
მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი.

ფიროსმანს ხან უცნაური სურვილი ჰქონდა, ხელი შეეხო მარგარიტასათვის ყელზე, როცა ის მღეროდა, თუნდაც მარტოოდენ სუნთქვა მიეტანა ახლოს იმ იდუმალ ხმასთან, თბილ ჰაეროვან შადრევანთან, ასე ელვარედ და ამაღელვებლად რომ წკრიალებდა.

ხალხი ამბობს, მეტისმეტი სიყვარული ადამიანს იმონებსო.

ნიკოს სიყვარულმა ვერ დაიმორჩილა მარგარიტა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ყველა. მაგრამ მაინც ძნელი გასაგები იყო, მართლა ვერ დაიმორჩილა თუ არა? თავად ნიკო ამას ვერ იტყოდა. მარგარიტა კი თითქოს სიზმარშიაო, ისე იყო. გული ყველასთვის დახურული ჰქონდა. მარგარიტას სილამაზე ყველას უნდოდა. მაგრამ, ეტყობა, თვით მარგარიტას არ უნდოდა ის სილამაზე. თუმცა კოპწიაობდა კიდეც და კარგადაც იცვამდა. შარიშურა აბრეშუმით მორთულიყო, აღმოსავლური სუნამო დაესხა და ქალღმერთად ეჩვენებოდა ყველას.

მაგრამ ამ სილამაზეში იყო ერთგვარი მრისხანებაც და, ეტყობა, იგი თვითონაც გრძნობდა ამას.

საიდან იყო მოსული ფიროსმანი, წესიერად არავინ იცოდა. მერე, ფიროსმანის სიკვდილის შემდეგ, შეკრიბა კირილე ზდანევიჩმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ნამცეც-ნამცეც ბიოგრაფიული ცნობები და, თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც აღადგინა ცხოვრება მხატვრისა...

ფიროსმანი დაიბადა 1862 წელს კახეთში, სოფელ მირზაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ყოფილა, რომ მშობლებს ერთი შეძლებული ქართული ოჯახისთვის მიუბარებიათ მოსამსახურედ თბილისში.

ფიროსმანი ხელზე მოსამსახურე იყო ოც წლამდე. მერე იგი ამიერკავკასიის რკინიგზაზე კონდუქტორად მოეწყო. სწორედ იმ ხანად დაიწყო ხატვაც. სულ პირველად სადგურის უფროსის სურათი დახატა. ეტყობა, ის სურათი მეტად გვლიანი და კარიკატურული იყო. ვინაიდან ნახა თუ არა თავისი პორტრეტი, სადგურის უფროსმა იმ წუთას დაითხოვა სამსახურიდან ფიროსმანი.

რა უნდა ექნა?

ის არც უსაქმური კაცი იყო და არც ნახევრადღარიბი, მხიარული და უკმეხი თბილისელი კინტო. ნიკოს არ შეეძლო კინტოსავით „ჰაერზე“ ეკეთებინა ფული...

ერთი ხანობა, შუა ბაზრის ახლომახლო, მიყრუებულ ეზოებში რძით ვაჭრობდა ფიროსმანი და როგორც იყო გაჰქონდა თავი. მაგრამ ეკჭრობას გული ვერ დაუდო. მალე ყვავილივით მოხატა თავის დუქანში დახლი. პირველ სურათებს ხან ვის აჩუქებდა ხოლმე და ხან ვის, თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ სიამოვნებით ართმევდნენ.

ხანაც მეიდანზე გაიტანდა ხოლმე იგი თავის სურათებს და წვრილმან გადამყიდველებს აძლევდა. ის გადამყიდველები ისეთი რამეებით ვაჭრობდნენ, რაც იშვიათად თუ ვინმეს სჭირდებოდა. იმ რამეებს, როგორც იტყვიან, „წყალში ფულის გადამყრელებს“ თუ მიაჩუჩებდნენ. იდუმალ უცხოურ სიტყვას — „ბრიკ-ა-ბრას“ ეძახდნენ იმ ნივთებს გადამყიდველები. იმათი აზრით, ის იყო მეტად ლამაზი და მაცთუნებელი სიტყვა იმიტომაც, რომ არც თვითონ ესმოდათ და ვერც ფიროსმანსა და მყიდველებს გაეგოთ, რას ნიშნავდა „ბრიკ-ა-ბრა“.

გადამყიდველთა ჩაწყობილ საქმეს ვერც ამ სიტყვამ უშველა. მყიდველები გაკვირვებულ-გაოცებული აივლ-ჩამოვლიდნენ ხოლმე და სურათებს არავინ ყიდულობდა. გადამყიდველები კი ჩალის ფასად აოთმევდნენ ფიროსმანს იმ სურათებს.

და ფიროსმანი შიმშილობდა. ხან რომელიმე სახლის კედელთან ან ამ ქვეყანასავით ძველთაძველი ხის ქვეშ მიჯდებოდა ხოლმე და იყო ასე, ვიდრე ტარაბუა არ გაუვლიდა.

მერე თავის სამშობლო სოფელში დაბრუნდა, სადაც კვლავ ათასი ჭირ-ვარამი ელოდა. თავისი სახლის კედლები და ჭერიც კი მოხატა, გააოცა მოკეთეები და მეზობლები.

მალე ამ სახლში ფიროსმანმა წვეულება გამართა. ამ წვეულების შემდეგ ოთხი სურათი დახატა, სოფლური ლხენი და ნადიმი ასახა იმ სურათებში. ის დღესასწაული იმითაც იყო საოცარი, რომ მრავალ დღესასწაულთა საწინააღმდეგოდ, არც ერთი მდიდარი არ დასწრებია. სტუმართაგან ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა და ზოგიც იწვა, ღვინით სავსე ყანწები კი მაღლა აეწიათ. ეს მიმბიდველი და თვალწარმტაცი ღრეობა მეტად თამამად დაწერა ფიროსმანმა.

ბოლოს, როგორც თვითონ ეგონა, მეტად მარჯვე გამოსავალი იპოვნა. დაბრუნდა თბილისში და დაიწყო დუქნებისთვის აბრების წერა. უფრო მეტად სადილსა დ. ვახშამზე ურიგდებოდა. ხანაც ფულად გამოართმევდა ხოლმე ნაწილ გასამჯელოს, რომ საღებავები ეყიდნა და ბინის ქირაც გაეხადა.

მაგრამ მასალისათვის ფული არასოდეს არა ჰყოფნიდა. მედუქნეები სიხარულით ხსნიდნენ ძველი თუნუქის აბრებს, წინასწარ გაგოზავდნენ ხოლმე ჩაშავებულ თუნუქს და, თუ გინდა ამაზეკე დაგვიხატეო, ეუბნებოდნენ. მაგრამ ფიროსმანი არასოდეს სარ ეთანხმებოდა.

თუნუქის აბრები მალე ეანგდებოდა. ფიროსმანმა კი იცოდა, რომ, მართალია, უსწავლელი ან, როგორც რუსები იტყვიან, თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ ძალოვნებითა თუ ნახატისა და ფერის სიწმინდით მაინც შეეძლო ზოგიერთ დიდ მხატვარსაც კი შესჯიდებოდა (ფიროსმანს ნანახი ჰქონდა იმ დიდი მხატვრების ნაუშევართა რეპროდუქციები), შეიძლება — თვით დელაკრუასაც (ერთი მხატვრობაზე მეოცნებე გიმნაზიელი უყვებოდა ხოლმე ფიროსმანს იმ ფრანგზე ათას ამბებს).

მასალა არ იყო, და ფიროსმანმა უბრალო მუშამბაზე დაიწყო ხატვა, მუშამბა კი ყველაზე ღარიბულ დუქანშიც ეფარა მაგიდებს.

მუშამბა შავიც იყო და თეთრიც. ფიროსმანი ხატვისას შეუფერადებელს სტოვებდა მუშამბას აქა-იქ, ნაწილ-ნაწილ, საცა საჭირო იყო. ეს ხერხი მან მერე პორტრეტისთვისაც გამოიყენა. ასეთი ხერხით შექმნილი ზოგიერთი ნამუშევარი ნამდვილად არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა.

არასოდეს დამავიწყდება ფიროსმანის მუშამბა „თავადი“. ჩოხა-ახალუხიან ფერმკრთალ მოხუცს ხელში ჯიხვის რქა უჭირავს. უკან, თითქოს ტოპოგრაფიული სქემაო, კავკასიონი მოჩანს. თავადის ჩოხა-ახალუხი იყო სწორედ შავი მუშამბის შეუფერადებელი ნაწილი, რომელსაც რიკოიანებრი მკრთალი შუქი ეფინა. ვერფრით ვერ მივხვდი, რა საღებავით მოეფინა მხატვარს ის ოდნავ ბნელხლებული შუქი.

ამნაირი სურათებისათვის, როგორიც „თავადია“, ოცოდაათ მანეთს აძლევდნენ ფიროსმანს, ისიც როცა ყველაზე მეტად იყო დარანში.

დუქანში მოსულთ მოსწონდათ ფიროსმანისეული აბრები — დამკრახული ყურძენი, გოგრები, ნარინჯისფერი ხურმა, მანდარინის ხუჭუჭა ბალები და მდიდრული ნატიურმორტები — ათასნაირი მწვანილი, ბადრიჯანი, მწვადები, ყველი და მოხარშული ლოქო.

მაგრამ აბრებისათვის დაუსრულებლად სულ ამ ნატიურმორტთა ხატვა აღარ შეეძლო ფიროსმანს. ცოტა არ იყოს, სევდაც მოერია. აბრებზე ახლა ხალხმრავალი ქეიფების ხატვა დაიწყო. ვიწრო გლეხური სუფრები პირდაპირ მწვანეზე იყო გაშლილი. აბრებს მოევლინენ ადამიანები, პეიზაჟი და ცხოველები, უმთავრესად მრავლისამტანი სახედრები.

ხანდახან ფიროსმანი მედუქნესთან ერთად იგონებდა ხოლმე დუქნის სახელს. რაც უფრო ძნელსაცნაური, თავსამტვრევი იყო სახელი, მით უფრო მოსწონდათ.

ფიროსმანს თან ეცინებოდა ხოლმე, ისე წერდა: „მწვადი ელექტრულად“ ან „მარტო არ უნდა დალიო“.

ამნაირი თვალში საცემი სახელები განსაკუთრებით უყვარდათ ქართულ პროვინციაში, სადმე ოზურგეთში, ახალქალაქში ან საგარეჯოში.

ჩასწრებით ვეღარ ჩავუსწარი ფიროსმანს: თბილისში ჩემს ჩასვლამდე გარდაცვლილიყო.

ფიროსმანმა უზარმაზარი მხატვრული სიმდიდრე დატოვა. იმ სურათებს წლების მანძილზე აროვებდა კირილე ზდანევიჩი, აგროვებდა ნამდვილად ნამეცე-ნამეცე. მან თითქმის მთელი ფიროსმანი მოიძია, გადაარჩინა ნიჭმომადლებული სახალხო მხატვრის ნაღვაწი, ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა და შემდგომ ის სურათები სახელმწიფოს — ხალხს მისცა საჩუქრად.

1916 წელს კირილე ზდანევიჩი პეტროგრადში შეხვდა მხატვრებს გონჩაროვასა და ლარიონოვს. ისინი პეტროგრადში მოლდავეთიდან ჩამოსულიყვნენ და თან ჩამოეტანათ აბრები, სასაცილოცაა და მეტად მოხდენილიც, რომლებიც ტირასპოლში ეპოვნათ.

ის აბრები ძალიან მოეწონა კირილე ზდანევიჩს. მალე თბილისში, დუქან „ვარიაგში“, მან უფრო ლამაზი აბრა ნახა და შეიძინა კიდეც. ის აბრა დაწერილი იყო უცნობი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის მიერ.

კირილე ბევრ გლეხს, მედუქნეს, მოხეტიალე მუსიკოსსა და სოფლის მასწავლებელს იცნობდა. იგი ყველას სთხოვდა ფიროსმანის სურათები და აბრები მომიძებნეთო.

პირველად მედუქნეები ერთ-ორ გროშად ჰყიდდნენ აბრებს. მაგრამ მალე საქართველოში ხმა დავარდა, ვინმე თბილისელი მხატვარი იმ აბრებს უცხოეთისათვის ყიდულობსო, და მედუქნეებმა ცეცხლის ფასი წაუკიდეს.

მოხუცი ზდანევიჩებიცა და კირილეც იმხანად ძალზე ღარიბად ცხოვრობდნენ. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ასეთი ამბავი მოხდა: კირილემ ფიროსმანის რამდენიმე სურათი იყიდა და მთელი ოჯახი ცარიელ პურსა და ყაყაჩოს ფასად დასვა...

ერთხელ გოროზმა კიოლემ (რაც უფრო აღელვებული იყო, იგი უფრო მეტად იღუშებოდა) ახალი სურათი მოიტანა და თქვა: „როგორია!“ მერე ის სურათი რამდენიმე დღეს ეკიდა სასტუმრო ოთახში.

როგორც კი კირილეს მღელვარება გაუვლიდა, შემდეგ ფერწერის მოყვარულთა მისვლა-მოსვლა დაიწყებოდა ხოლმე. ჩემს ოთახში ძარგად ისმოდა, რასაც სასტუმროში ლაპარაკობდნენ, და მალე ყველა ახალი სურათის ისტორია ზეპირად ვიცოდი.

ფიროსმანი თბილისში ჩემი ცხოვრების პირველივე დღეს გავიცანი... როგორც უკვე ვთქვი, ჩემი ოთახის კედლები ზედა ლავგარდანიდან პლინთუსამდე სულ ფიროსმანის სურათებით იყო მოფენილი.

ჩამოსვლის დღეს ერთი ისე შეეხედე იმ სურათებს. თბილისური ზამთარი იდგა და ოთახში ცივოდა. მაგრამ გულში მაინც უცნაურ სითბოსა ვგრძნობდი, თითქოს ვიღაცამ ჩამჭიდა ხელი და თვალის დახამხაშებაში შემომატარა საკვირველი და ჯადოსნური ქვეყანა, რომელიც ერთხელ უკვე ვნახე ან იქნება დამესიზმრა კიდეც და ერთი სული მჭონდა ვიდრე კვლავ მივავლ-მოვავლიდი, გონს მოვიდოდი და მთელ ასავალ-დასავალს გავუგებდი.

იმ საღამოს აღელვებული დავწექი დასაძინებლად. გულში ჩამყვა ის უცნობი სურათები, გარს მდუმარენი რომ მეხვევნენ და თითქოს ერთი წუთით თვალს არ მაშორებდნენ.

დილით ძალიან ადრე გამეღვიძა. ძალამილეული, დაცრეცილი მზე ირიბად იწვა მოპირდაპირე კედელზე.

შეეხედე იმ კედელს და წამოვხტი. გულმა დაგა-დუგი დამიწყო.

კედლიდან თვალს თვალში მიყრიდა სიმივით დაძაგრული, უცნაური ცხოველი, რომელსაც არ შეეძლო ეთქვა თავისი სატანჯველი. შეშფოთებული მომზერდა საოდავი, თითქოს რაღაცას მეკითხებოდა.

ის ცხოველი ყირაფი იყო. უბრალო ყირაფი, რომელიც ალბათ თბილისის ძველ სამხეცეში ენახა ფიროსმანს.

ზურგი შეეკვეცა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყირაფ თვალს არ მაშორებდა და ყველაფერი იცოდა, რაც გულში მიტრიალებდა.

მთელ სახლში სამარისებური [illegible] ყველას, ყირაფს თვალი მოეკაშორე [illegible] ბხის ჩარჩოდან ძირს გადმოვიდა, [illegible] ოდის ვეტყოდი რამე მი[illegible] ამ ხეშეშა მტკრიანი მუშამბა [illegible]

მალე ფიროსმანის თითქმის ყველა სურათს ვიცნობდი. იმ სურათებმა თვალი ამიხილეს და კიდევ უფრო შემაყვარეს კავკასია — რთულიცა და მოზაიკურად თვალწარმტაციც.

ფიროსმანი ჩემთვის საქართველოს ბუნების, მატიანისა და ადამიანების ენციკლოპედიად იქცა...

ფიროსმანისეული მრავალი გამხდარი გლეხაცი, მხიარული მევენახე, უქონელი და კდემამოსილი მანდილოსანი, მებადური, ულაშდაფენილი ყინჩი მდიდარი, თავისი ცოცხივით წვრილბურგული თბილისელი მეეზოე და დარდიმანდი მუსიკოსი ირეოდა ზღანევიჩების ოთახებში ოდნავ დამტვერილ მუშამბებზე. დროდადრო რომელიმე სტუმარი ხან ერთ სურათზე მოიგონებდა ხოლმე რაიმეს, ხან მეორეზე და ზღაპარივით იწყებდა მოყოლას.

უმეტესად ადამიანები ჩაჰფენენ ფიროსმანის სურათებზე, მაგრამ თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ნაირნაირ ცხოველსა და ნადირსლომებს, ჯიირნებს, კამეჩებს, ყირაფებს, აქლემებსა და მხატვრის უტყვ მეგობრებს — სახედრებს.

* * *

ხელოვნება ყოველთვის გულზე ხვდება ადამიანს და იგი არასოდეს არ ივიწყებს ამ ცხად კავშირს მშვენიერებასთან.

ვერც იმ სულიერ აღფრთოვანებას ივიწყებს ადამიანი, რასაც ხანდახან ერთი, მხოლოდ ერთი სტრიქონი, მიანიჭებს ხოლმე, ან — სურათი, რომელსაც მრავალი საუკუნე დაუძლევია, რომ ჩვენამდე მოეტანა თავისი სილამაზე.

ფიროსმანი რომ არ მცოდნოდა, ალბათ ვერც კავკასიას ვნახავდი მთლიანად გამყლავნებულს, ის იქნებოდა ჩემთვის უშუქრდილო სუსტი სურათი, რომელსაც არ დაეტყობოდა არც დეტალები და არც კონტურები, არც ნახევრადღმოსავლურ და ნახევრადევროპულ სივრცეთა მოლურჯო ბინდი.

ფიროსმანმა ჩემს თვალში ნაყოფის წვენითა და ფერთა იდუმალებით აავსო კავკასია. მან დამაახლოვა ამ ქვეყანას, სადაც ერთდროულად გაჩნობ სიხარულსაცა და მსუბუქ, უცნაურ ნაღველსაც. ამ სიხარულითა და შინაგანი კაეშნით უბრწყინავთ თვალები მშვენიერ ქართველ ქალებს. ისინი თვალსა და ხელს შუა ქრებიან ზღვა ხალხში, თუმცა ესოდენ ნაზად ეკვრება პოეტი:

შემომხედე, გენაცვალე!
ერთხელ მაინც შემომხედე...

* * *

ის დილაც ჩვეულებრივი იქნებოდა, იმ დღეს რომ არ ყოფილიყო დაბადებული ნიკო ფიროსმანიშვილი და სოლოლაკში არ ახმაურებულიყვნენ ურმები, რომლებზეც იშვიათი და მსუბუქი ტვირთი ეწყო.

ურმები ნამიანი ყვავილებით იყო სავსე. ბზინავდა ნამი, და ხალხს ეჩვენებოდა, ყვავილებს უმრავი პაწაწა ცისარტყელა აყრიაო.

ურმები მარგარიტას სახლის წინ შეჩერდნენ. მეურმეებმა ჯერ ცოტა იტუტუნეს, მერე იღლია-იღლია გადმოყარეს ძირს ყვავილები და ფიანდაზად მოფინეს მთელ ქვაფენილზე სახლის წინ.

წავიდნენ თუ არა ის ურმები, ახლა მეორე წყება წამოვიდა. კაცი იფიქრებდა, მარტო მთელი თბილისისა კი არა, მთელი საქართველოს ყვავილები აქ მოაქვთო.

ყვავილთა სურნელმა აავსო სოლოლაკი, ფანჯრებს პირველი დიასახლისები მოაწყდნენ, ისინი ჩქარ-ჩქარა ივარცხნიდნენ კუნაპეტივით შავ თმას და ხარბად უმზერდნენ საოცარ სანახაობას: მეურმეები, უბრალო მეურმეები და არა „ათას ერთი ღამის“ ღეგენდარული მენახირენი, ყვავილებით ავსებდნენ ქუჩას, თითქოს მეორე სართულიდან ყვავილებში უნდა ჩაფლულ სახლებიო...

— რაღა შენი დაბადების დღეს მომძიძვენი ეს თმა ყვავილებსა? არაფერი არ მესმის, ნიკო, — ეკითხებოდა სუნთქვაშეკრული მარგარიტა.

ფიროსმანს არაფერი უთქვამს. მარგარიტა კი მთელი თავისი არსებით, ყველა ძარღვით, სისხლითა და ხორცით მიხვდა, თუ რაოდენ ძლიერად უყვარდა ფიროსმანს იგი და პირველად ახლა აკოცა. აკოცა მზისა და ცის წინაშე, უბრალო სოლოლაკელთა წინაშე, სახალხოდ...

ფიროსმანის სიყვარულზე ათასნაირად ჰყვებიან. მე ერთი იმ ამბავთაგანი გავიმეორე. ოდესღაც მოკლედ ჩავიწერე ის ამბავი, არც კი მიფიქრია, ნამდვილად მოხდა ასე თუ არა, რომელი ცოტაა უხალისო და შარიანი ხალხი, დანარჩენი სიმართლე იმათ იკვლიონ.

მაგრამ ერთი კი არ შემიძლია არა ვთქვა, იმიტომ, რომ ის არის სწორედ ერთი-ერთი ყველაზე მწარე სიმართლე, მალე მარგარიტამ მდიდარი საყვარელი იშოვნა და სამუდამოდ მიატოვა თბილისი.

თარგმანი
გ. გოგიბაშვილისა.

„მეეზოე“
მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი.

სპორტის ამბები

ნიმცოვიჩის ხსოვნის ტურნირი

კოპენჰაგენში დამთავრდა ნიმცოვიჩის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში. აქ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად გამოდიოდნენ საბჭოთა გროსმაისტერები პეტროსიანი და გელერი.

უკანასკნელისწინა მე-12 ტურში ყურადღების ცენტრში იდგა პეტროსიანისა და შტალბერგის პარტია. მოგების შემთხვევაში შტალბერგი ეწეოდა ლიდერს — საბჭოთა გროსმაისტერ პეტროსიანს, ამიტომ იგი გაურბოდა ყაიმს და ისწრაფოდა პოზიციის გამწვავებისაკენ. შუხვედრის დასკვნითს ნაწილში ინიციატივა ხელთ იგდო პეტროსიანმა და გაიმარჯვა. გელერმა ორი გადადებული პარტიიდან ორივე მოიგო, ხოლო მე-12 ტურში დაამარცხა ნილსენი.

დასკვნითს, მე-13 ტურში საბჭოთა გროსმაისტერებმა შუხვედრა ორბანოსთან და ენევოლდსენთან ყაიმით დაამთავრეს და საერთო გამარჯვება მოიპოვეს.

ამრიგად, დამთავრდა მიმდინარე წლის ეს საინტერესო ტურნირი. შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა პეტროსიანმა, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 11,5 ქულა შეაგროვა. გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გამოვიდა გელერი. მესამე ადგილი დაიკავა შტალბერგმა, მეოთხე — ლარსენმა, მეხუთე — გოლცმა.

წინ არის ხოლმოვი

დონის როსტოვში გრძელდება სსრ კავშირის XXVIII პირველობის გათამაშების ნახევარფინალური ასპარეზობა ჭადრაკში. წინის ყრის თანმიმდევრული ნომერაციით აქ გამოდიან — ბოლესლავსკი, ბანიკი, ვოლოვიჩი, კატალიმოვი, რეშკო, კუზნეცოვი, ზაიცევი, სპასკი, შიბკინი, ლუიკი, ლიბერზონი, სუეტინი, ნურმამედოვი, ხასინი, ხოლმოვი, გურგენიძე, მნაცაკანიანი და ბონდარევსკი.

საქართველოს მოჭადრაკემ, ოსტატმა გურგენიძემ პირველი პარტია წაიგო ვოლოვიჩთან, ხოლო მომდევნო ორი ტურის პარტიები ყაიმით დაამთავრა.

25 აგვისტოს გაიმართა მეოთხე ტური. მძაფრი ბრძოლა გაიმართა გროსმაისტერ სპასკისა და ხასინის პარტიაში, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. კარგი სტილით ბანიკმა დაამარცხა ლიბერზონი. გურგენიძე-კუზნეცოვისა და რეშკო-მნაცაკანიანის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არის ხოლმოვი, რომელსაც 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ფეხგურთი

სსრ კავშირის თასზე

დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის. 25 აგვისტოს ოდესაში გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბისა და სტალინგრადის „ტრაქტორის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ოდესელებმა ანგარიშით 1 : 0.

ამრიგად, ოდესის სკა-ს გუნდი ნახევარფინალში გავიდა.

მესამე ფინალურ ჯგუფში

ბრძოლაში ჩაებნენ „ა“ კლასის მესამე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან 31-13-მე-18 ადგილებისათვის. კუიბიშევის „კილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა თავის მოედნზე დამარცხება (0 : 1) განიცადა ალმა-ატის „კაირატთან“ მატჩში, ხოლო ხარკოვში ადგილობრივმა „ავანგარდმა“ ანგარიშით 4 : 0 მოუგო ტაშკენტის „პახტაკორს“.

ᲘᲛᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. აქ არის პირველყოფილი ადამიანების სადგომები, უძველესი ციხე-სიმაგრეები, შესანიშნავი მონასტრები. იშვიათმა ექსპონატებმა, რომლებიც რაიონში აღმოჩნდა, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეში. ამას წინათ სოფელ ოჯოლის კოლმეურნეობის წევრებმა სამსონ, ვენერა, ცარო და ვასილ ჩუბინიძეებმა სახლის დასადგმელი ადგილის მოსწორებისას, დაახლოებით ერთ მეტრ სიღრმეზე მიწაში იპოვნეს იშვიათი ნაუნჯე — ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დამზადებული ძვირფასი სამკაულები, ნაწარმოო და ნაბრძოლი იარაღები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კარგად შემონახული ბრინჯაოს ორი ნაჯახი. ერთ-ერთი ნაჯახი მაღალი გემოვნებით არის მოხატული. მასზე გამოსახულია ორი ფანტასტიკური ცხოველის ფიგურა. მეტად საყურადღებოა ე. წ. სეგმენტური იარაღი, მას თითქმის ყველა სეგმენტი კარგად ემჩნევა. საინტერესოა სხვადასხვა ფორმის 24 თოხი. ზოგიერთი მათგანი უნიკალური სახით არის წარმოდგენილი. აქვეა დაუზიანებლად შემონახული 3 ცალი ისრის პირი, ერთი ღილი, ერთი ქინძისთავი, სამაჯურისა და ბრინჯაოს ხანის ადამიანთა სამკაულების ნაწილები